ოქმი:**ო31. 3126210001**
თარიღი:**29/07/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N10

ქ. ლანჩხუთი

24. 07. 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) მოვალეობის შემსრულებელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი გურამ ბოლქვაძე.

მოწვეული სტუმარი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს XI მოწვევის პარლამენტის წევრი სოფიო ხორგუანი და მოქალაქე სვეტლანა სარიშვილი(საკუთარი განცხადების საფუძველზე).

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს მიერ სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი, ასევე მე-18-ე საკითხზე მომხსენებლად საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძის ნაცვლად, რომელიც საპატიო მიზეზის გამო ვერ ესწრება სხდომას, იქნება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე. მან მიმართა საკრებულოს წევრებს, აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.

მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 125^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და სოფელ წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს „ჯი ენ ელი“-სთვის (ს/კ 404507173), პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“-ისთვის (ს/კ 433645932), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

14. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

15. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

16. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

17. „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2026 წლის 16 ივლისის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

18. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილების განსაზღვრის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

19. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.

მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე საკრებულოს წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ ითხოვა სიტყვა და დააყენა შემდეგი წინადადებები:

-სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში აუცილებელია საერთაშორისო მნიშვნელობის გზის დაკავშირება სახელმწიფო მნიშვნელობის გზასთან. (800 მეტრი)

-სუფსის ცენტრში რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერის მოწესრიგება.

-ტურისტული სეზონიდან გამომდინარე სასურველია საზოგადოებრივი ტრანსპორტის დამატება გრიგოლეთის მიმართულებით.

-მერიაში შემოსულია სოფ. ხიდმაღალაზე მცხოვრები რეჯი ბლაგიძის განცხადება გაბიონის თემასთან დაკავშირებით.

-ხიდმაღალას ცენტრალურ გზაზე აუცილებელია ბეტონირებული სანიაღვრე არხის მოწყობა.

-ტაბანათში, მემორიალის ქუჩაზე, გასული წლის პროექტის მიხედვით უნდა გაეკეთებინათ ბეტონის სანიაღვრე არხები და დაგებულიყო ასფალტის საფარი, მაგრამ სამუშაოები დღემდე არ არის დაწყებული.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე.**

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 125^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა, **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულია ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლითაც ასევე დამტკიცდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 125^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საკრებულომ ასევე დაამტკიცოს ხსენებული ოქმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი. კერძოდ:

მუხლი 1. წესის რეგულირების საგანი

წინამდებარე წესი განსაზღვრავს საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 125^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (შემდგომში – სამართალდარღვევის ოქმი) შენახვის, შედგენის, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების სამართლებრივ მექანიზმებს.

მუხლი 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი პირი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილია „შპს

ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ (ს/კ 433655822) (შემდგომში კომპანია).
2. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას განიხილავს „შპს ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის დირექტორის ბრძანებით უფლებამოსილი თანამშრომელი (შემდგომში „თანამშრომელი“).
3. ამ მუხლის მე-2 პუქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, თანამშრომელი უფლებამოსილია, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.
4. თანამშრომელი უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვის ჟურნალის წარმოებასა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.
მუხლი 3. საჯარიმო ქვითრის მომარაგების, შენახვის, გაცემისა და დაბრუნების წესი
1. საჯარიმო ქვითრის ფორმების დაბეჭდვის ორგანიზებასა და ფორმებით მომარაგებას ახორციელებს კომპანია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვით.
2. პოლიგრაფიული საწარმოდან საჯარიმო ქვითრების გამოტანის უფლება აქვს კომპანიის წარმომადგენელს, რომელსაც გააჩნია სათანადოდ გაფორმებული მინდობილობა. საჯარიმო ქვითრის შენახვას, დაცვას და გაცემას, შესაბამისი პროცედურების დაცვით, უზრუნველყოფს კომპანიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი.
3. საჯარიმო ქვითრის შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების შესაბამისად. სათავსო, სადაც ინახება საჯარიმო ქვითრები, უნდა იყოს ხელშეუხებელი გარე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისგან. საჯარიმო ქვითრის გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება „საჯარიმო ქვითრის აღრიცხვის ჟურნალში“ (ტექსტში შემდგომ – ჟურნალი) (დანართი №2).
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჟურნალი იხსნება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში.
5. ჟურნალის ფურცლები ინომრება რიგითობის მიხედვით. აღრიცხვის ჟურნალის გარეკანი და ფურცლები უნდა იქნეს ზონარგაყრილი. ამასთან, ზონარის კვანძზე ეკვრება ეტიკეტი, რომელიც მოწმდება კომპანიის დირექტორის ხელმოწერით და ბეჭდით.
6. ჟურნალში ყველა ჩანაწერი კეთდება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით.
7. ჟურნალში არ დაიშვება ჩანაწერის გადაფხეკა, ჩასწორება ან ადრე გაკეთებული ჩანაწერების ჩასწორება და მოშორება კორექტორის დამხარებით. აუცილებლობის შემთხვევაში, უზუსტო ჩანაწერი გადაიხაზება ერთი ხაზით ისე, რომ ნათლად ჩანდეს ადრე დაწერილი ტექსტი; ახალი ჩანაწერი კეთდება აღრიცხვის ჟურნალის იმავე გრაფაში, ხოლო გრაფაში „შენიშვნა“ აღირიცხვის ჟურნალის მწარმოებელი პასუხისმგებელი პირი აკეთებს შესაბამის ჩანაწერს.
8. იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული წლის განმავლობაში წარმოებული საქმეების რეგისტრაციისთვის ერთი ჟურნალი აღმოჩნდება არასაკმარისი, იხსნება ახალი ჟურნალი, რომელიც წარმოადგენს პირველის გაგრძელებას.
9. კალენდარული წლის ბოლოს, ჟურნალში ყველა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის რეგისტრაციის შემდეგ, პასუხისმგებელი თანამშრომელი აკეთებს ჩანაწერს რეგისტრირებული საქმეების საერთო რაოდენობის შესახებ.
10. ჟურნალი ინახება მის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან, რომელიც შემდგომში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, გადაეცემა არქივს.
11. ჟურნალის შენახვის პირობები უნდა უზრუნველყოფდეს მის დაცულობას.
12. ჟურნალი წარმოადგენს შიდა გამოყენების დოკუმენტს და იგი (ან მასში არსებული მონაცემები) არ შეიძლება გაიცეს მესამე პირზე, გარდა მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
მუხლი 4. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის ჩამოწერა
1.გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითარი ექვემდებარება ჩამოწერას:
ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;
ბ) საჯარიმო ქვითრის ფიზიკური დაზიანების გამო;
გ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
2. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის ჩამოწერა უნდა მოხდეს ჩამოწერის აქტის (დანართი №3) მიხედვით. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის ექსკლუზიური ნუმერაცია შეტანილი უნდა იქნეს მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ჩამოწერის აქტში.
3. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის უტილიზაცია ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
მუხლი 5. ჯარიმის გადახდა
1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 მუხლით (გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილისა) გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისთვის ამ

კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით, ხოლო ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის შემთხვევაში – 200 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევი მძღოლის ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება.
2. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებას იღებს კომპანიის დირექტორი.
მუხლი 6. სააღსრულებო ფურცლის გამოწერა
კომპანიის დირექტორის მიერ სააღსრულებო ფურცლის (დანართი №4) გამოწერა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც დაუყოვნებლივ ეგზავნება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს.
მუხლი 7. ვადების ათვლა
წინამდებარე წესით განსაზღვრული ვადების ათვლისას გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 29 საკრებულოს წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა დადგენილება N16 (24.07.2026).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და სოფელ წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოების გამო: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილების მე-19 მუხლის საფუძველზე, 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებით დაამტკიცა მერიასა და კონკურსში გამარჯვებულ ა(ა)იპ „საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტს“ (შემდგომ –ინსტიტუტი) შორის 2020 წლის 19 მაისს გაფორმებული N93 ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული კურორტ გრიგოლეთისა და ს.წყალწმინდის უბან ყვავილნარის განაშენიანების გეგმა და მისი თანმდევი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია. განაშენიანების გეგმის, კერძოდ განაშენიანების მართვის რეგლამენტის ტექსტურ ნაწილში დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა - დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართების ჩამონათვალიდან ნორმატიული - აქტი -2-ის (1295047656) მესამე პარაგრაფის ,,განაშენიანების პარამეტრების“ მეორე პუნქტის ,,ა.ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი უნდა იყოს რომ 300 კვ.მ. ნაკლები ან ტოლი ფართობის მიწის ნაკვეთისთვის-კ1=0,4 კ3=0,5, ნაცვლად დადგენილი ჩანაწერისა რომ 250 კვ.მ. ნაკლები ან ტოლი ფართობის მიწის ნაკვეთისთვის-კ1=0,4 კ3=0,5. აღნიშნული ხარვეზის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ წერილობით აცნობა დამგეგმარებელ კომპანიას - ა(ა)იპ საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტს და თხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება. კომპანიის მიერ მოხდა გეგმის მომზადების პროცესში ტექნიკური პრობლემის დადასტურება, მოახდინა უზუსტობის აღმოფხვრა და წარმოადგინა განაშენიანების გეგმის შესწორებული ვერსია, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული ფორმატით.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 29 საკრებულოს წევრი.

მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა დადგენილება N17 (24.07.2026).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს „ჯი ენ ელი“-სთვის (ს/კ 404507173), პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ მიმდინარე წლის 25 მარტს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას წერილით მომართა შპს „ჯი ენ ელი“-ს (ს/კ 404507173) დირექტორმა გიორგი გედევანიშვილმა, რომლითაც მოთხოვნილი იყო ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 463 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394) 6 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა. შპს „ჯი ენ ელი“ არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებული და საქართველოში ახორციელებს ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებას. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, შპს „ჯი ენ ელ“-ს გადაეცეს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 463 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394) 6 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და წლიურ საიჯარო ფასის ოდენობად განისაზღვროს 4200 (ოთხიათას ორასი) ლარი, ხოლო ხელშეკრულების ვადად ერთი წელი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი 1(ჯუმბერ ბლაგიძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N39 (24.07.2026).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“-ისთვის (ს/კ 433645932), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2026 წლის 21 აპრილს განცხადებით (კანცელარიის ნომერი N 10/30261114-30- 21.04.2026 წ.) მომართა ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“-ის (ს/კ 433645932) თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარინა ნუცუბიძემ, რომელშიც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ზაალ მდინარაძის ქუჩა N 1-ში მდებარე 27.06.56.072.01.505 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ 94,54 კვ.მ. ფართიდან 46.53 კვ.მ. ფართის გადაცემა პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორი“-ს ფუნქციონირებისათვის.
ზემოთ აღნიშნული ორგანიზაცია ემსახურება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შშმ პირთა ინტეგრაციას, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას შშმ პირთა მიერ საკუთარი უფლებების გაცნობისა და უფლებათა გამოყენების უნარ-ჩვევების ამაღლებისთვის, ეწევა შშმ პირთა უფლებების - დამოუკიდებელი ცხოვრების იდეის პოპულარიზაციას, აგრეთვე, სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს სფეროში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში და ა.შ.
ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ „პროგრესის ვექტორ“-ს (ს/კ 433645932) გადაეცეს უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქ. ლანჩხუთში ზაალ მდინარაძის ქუჩა N 1-ში მდებარე 27.06.56.072.01.505 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ 94,54 კვ.მ. ფართიდან N 8 და N 9

ოთახები ჯამში 46.53 კვ.მ. ფართი თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი 1(ჯუმბერ ბლაგიძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N40 (24.07.2026).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მ/წლის 7 ივლისის N08-302618813 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რის მიხედვითაც, საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმას უნდა დაემატოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ეწერზე მდებარე 27.11.47.238 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ 3848 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული N 261.66 კვ.მ. შენობა - ნაგებობა (მხოლოდ შენობა-ნაგებობის პრივატიზება იგეგმება).
მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის 2026 წლის 7 ივლისის N 08-302618813 მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით წარმოგიდგენილია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და პრივატიზების გეგმის“ დანართ N1 -სა და დანართ N2-ში ცვლილება. კერძოდ, ცვლილება განპირობებულია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში“ სოფელ ნიგვზიანში მდებარე 1000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.14.44.539) დამატებით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი 1(ჯუმბერ ბლაგიძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N41 (24.07.2026)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდმას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფად ადეკვატური სტრუქტურის შექმნისა და საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მ/წლის 15 მაისის ბ30. 30261357 ბრძანებით, დაიწყო მერიის სტრუქტურული რეორგანიზაცია, რის შედეგადაც მიიღება მერიის ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა, შტატები გადაადგილდება ან/ და შემცირდება. დაგეგმილი ცვლილებების ფარგლებში მომზადდა მერიის რეორგანიზებული სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის პროექტი, რამაც ასევე აუცილებელი გახადა მერიისა და მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების რედაქტირება.

ახალი სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება არ იწვევს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

საკრებულოს წევრი **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა, თუ რა შედეგი ექნება რეორგანიზაციას.

მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ** განმარტა, რომ მერიის სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად მიიღება ახალი სტრუქტურა, რომელიც მორგებულია არა კონკრეტულ პერსონალზე, არამედ მერიის სამსახურების გამართულად და ეფექტურად ფუნქციონირებაზე, ფინანსების რაციონალურად ხარჯვაზე და მოსახლეობის და აღმასრულებელი ხელისუფლების საჭიროებებზე.

საკრებულოს წევრი **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდა, თუ რა ეფექტი მოაქვს რეორგანიზაციის პირობებში მერიის სამსახურებში რანგირების ცვლილებას.

მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ** განმარტა, რომ მათი აზრით, მერიის სტრუქტურული რეორგანიზაციის პირობებში, რანგირების ცვლილება უზრუნველყოფს კონკრეტულ სამსახურებზე დაკისრებული ფუნქციების სრულად განხორციელებას და მაქსიმალურად მიიღება შედეგი იმ გამოწვევებზე, რაც დღევანდელ დღეს დგას მერიის წინაშე.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა დადგენილება N18 (24.07.2026).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, ეს დებულება, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომ – მერია) სტრუქტურას, მერიის თანამდებობის პირების და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებებს და მუშაობის ორგანიზაციას.

მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას. იგი შედგება მერიის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულებისაგან. მერიის სტრუქტურული ერთეულები - მერიის სამსახურები იქმნება (უქმდება) და მათი დასახელებები განისაზღვრება ამ დებულებით. მერიის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და სტრუქტურა განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც მერის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო. მერიის სამსახური, სამსახურის დებულების შესაბამისად, ფუნქციურ დანიშნულებათა მიხედვით შეიძლება დაიყოს ქვედანაყოფებად - განყოფილებებად.

მერია საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", მოქმედი კანონმდებლობის და ამ დებულების შესაბამისად. მერიის თანამდებობის პირები, სტრუქტურული ერთეულები და საჯარო მოსამსახურეები მოქმედებენ კანონიერების, საჯაროობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით. მერიაში ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე.

მერიის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები არიან:
ა) მერი;
ბ) მერის პირველი მოადგილე;
გ) მერის მოადგილე;
დ) მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

მერიის თანამდებობის პირების რაოდენობა (მერის ჩათვლით) არ უნდა აღემატებოდეს 13-ს. მერიის ხელმძღვანელი თანამდებობის პირების უფლებამოსილება, არჩევა-გადაყენების, დანიშვნა - გათავისუფლების და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ დებულებით.

მერი არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი, წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა დადგენილება N19 (24.07.2026).

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება განისაზღვრება ამ დებულებით და თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სამსახურის შემადგენლობაში შედის:

ა) სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

ბ) სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
გ) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
დ) ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
ე) საქმისწარმოებისა და არქივის განყოფილების უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);
ზ) სამსახურის მოსამსახურეები.

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მერის, მერიის სამსახურებისა და თანამდებობის პირების იურიდიულ კონსულტირებას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარსადგენი აქტების მომზადებასა და სამართლებრივ გამართულობას;

გ) მუნიციპალიტეტის თანამშრომელთათვის კონსულტაციების მიცემას საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში;

დ) მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივ გამართულობას, მათ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან;

ე) მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოში, სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ვ) მოქალაქეთა განცხადებების/საჩივრების განხილვასა და შესაბამისი დასკვნების მომზადებას;

ზ) მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ცალკეული საკითხების განხილვას და დასკვნის მომზადებას მათი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე;

თ) მერიის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში მიღების, სამსახურებრივი გადაადგილების, გადაყვანის, განთავისუფლების, უფლებამოსილებათა შეჩერების, შვებულებაში გასვლის და მივლინების სამართლებრივი აქტების მომზადებას;

ი) მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამართლებრივ საკითხებზე კონსულტაციებისა და განმარტებების მიცემას;

კ) მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა საკადრო პოლიტიკის უზრუნველყოფას, ქვეყნის ეკონომიკური სისტემის თავისებურებათა გათვალისწინებითა და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, კადრების მართვის სტრატეგიისა და ერთიანი საკადრო პოლიტიკის შემუშავებას, მუნიციპალურ მოსამსახურეთა მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფასა და კონტროლს, საკადრო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;

ლ) მერის გადაწყვეტილებების დროულ მიწოდებას ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისათვის;

მ) მეთოდური დახმარების გაწევას საქმისწარმოებისას;

ნ) ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებს, სპეციალისტებსა და მუნიციპალიტეტის მერს შორის კომუნიკაციას;

ო) მერის წარმომადგენლებისათვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებაში ხელშეწყობას;

პ) ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი წინადადებების და დოკუმენტაციის მიწოდებას მუნიციპალიტეტის მერისთვის.

ჟ) მერის წარმომადგენლებთან შეხვედრებისა და თათბირების გამართვისათვის საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებას, დასახლებების საერთო კრებების მოწვევის ორგანიზებას, საერთო კრების ოქმების წარმოებას;

რ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის კორესპონდენციის მიღებასა და ადრესატებისათვის გადაგზავნას;

ს) მუნიციპალიტეტის მერისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების გამოქვეყნებას;

ტ) მიღებული კორესპონდენციის რეგისტრაციასა და მათ განაწილებას დანიშნულებისამებრ, საკრებულოსა და მუნიციპალურ სამსახურებს შორის;

უ) მერის დავალებების რეგისტრაციას, მათი შესრულების კონტროლს;

ფ) სამსახურის სამუშაოთა გეგმების მომზადებას; მერიის სამსახურების სამუშაოთა გეგმების საფუძველზე მერიის სამუშაო გეგმის პროექტის მომზადებას;

ქ) ადმინისტრაციული წარმოების დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვას;

ღ) საქმისწარმოებაში დაშვებული დოკუმენტების სათანადოდ გაფორმებას და დოკუმენტბრუნვას;

ყ) საქმეთა ნომენკლატურის შედგენას და არქივირებას;

შ) გამართულ კომუნიკაციას მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის, მერიის თანამდებობის პირთა კომუნიკაციას მოქალაქეებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, იურიდიულ პირებთან და სხვა გაერთიანებებთან;

ჩ) მოქალაქეთა საინფორმაციო მომსახურებას „ერთი ფანჯრის“ პრინციპის დაცვით;

ც) მუნიციპალიტეტის ვებგვერდის ადმინისტრირებას, რაც გულისხმობს:

ც.ა) ვებგვერდის დიზაინის მომზადებას და მასში ცვლილებების შეტანას;

ც.ბ) ვებგვერდის ფუნქციონირების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას;

ც.გ) მერიის შესახებ ინფორმაციის განთავსებას;

ც.დ) ვებგვერდზე შემოსული წინადადებების და წერილების სისტემატიზაციას და მერისთვის გადაცემას;

ც.ე) ვებგვერდის ფუნქციონირების პროგრამულ უზრუნველყოფას, მათ შორის, ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის დაცვას არასანქცირებული ჩარევისაგან, ინფორმაციის შეცვლის, გაყალბების, დამახინჯების, წაშლის და დაბლოკვისაგან.

ძ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის საჯაროობას; საჯარო ინფორმაციის რეესტრის წარმოებას, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნებას, საჯარო ინფორმაციის გაცემას;
წ) მუნიციპალიტეტის სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ორგანიზებას;
ჭ) მუნიციპალიტეტის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას;
ხ) ოფიციალური დელეგაციების მიღებას, საგარეო ვიზიტების დაგეგმვასა და ორგანიზებას;
ჯ) ორგანიზაციულ-ტექნიკურად უზრუნველყოფს მერიის სამუშაო თათბირების, აგრეთვე მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულებისა და მერიის თანამდებობის პირების მიერ სხვა ღონისძიებების ჩატარებას;
ჰ) მერიის სამუშაო თათბირების ოქმების წარმოებას;
ჰ^{ა}) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საზოგადოებისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
ჰ^{ბ}) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიმდინარე საქმიანობის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან პრესკონფერენციების, ბრიფინგების, შეხვედრებისა და ინტერვიუების ორგანიზებას და მოწყობას;
ჰ^{გ}) პრესრელიზების, სტატიების მომზადებას და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში განთავსებას, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ვებპორტალის თემატურ გაძღოლას, აგრეთვე აუდიო, ვიდეო და ფოტომომსახურების უზრუნველყოფას;

ჰ^{დ}) საინფორმაციო ბიულეტენებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მუშაობის სხვა ბეჭდვითი პროდუქციის გამოსაცემად მომზადებას;

ჰ^{ე}) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული განცხადებებისა და საინფორმაციო ხასიათის სხვა მასალების მომზადებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებას;

ჰ^{ვ}) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა დადგენილება N20 (24.07.2026).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება განისაზღვრება ამ დებულებით და თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სამსახურის შემადგენლობაში შედის:

ა) სამსახურის უფროსი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ბ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დ) სამსახურის საჯარო მოსამსახურეები – პირველი და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები.

სამსახურის ფუნქციებია:

ა)ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და კოორდინაცია;

ბ)საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება;

გ) დასაქმების მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია;

დ) ჯანდაცვის მუნიციპალურ ობიექტებთან თანამშრომლობა;

ე) თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ვ) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მასზე სოციალური გავლენის პირობების შესწავლა და შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვა;

ზ) სამზრუნველო ქსელის განვითარება, თავშესაფრების მოწყობის ორგანიზება და მოსახლეობის სოციალური ადაპტაციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება;

თ) მოსახლეობის შრომითი მოწყობის და უმუშევართა დახმარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების მომზადება და დამტკიცებულ პროგრამათა განხორციელება;

ი) ღონისძიებათა დაგეგმვა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ;

კ) იმ პირთა აღრიცხვა, რომელთა დახმარებაც ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

ლ) შრომის ბაზრის ანალიზი და შესაბამის წინადადებათა მომზადება;

მ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ ინფორმაციის მოძიება და აღრიცხვა;

ნ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების აღრიცხვა და მათთან მუშაობის ორგანიზება;

ო) საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული ბავშვის უფლებების დაცვის ღონისძიებების განხორციელება, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;

პ) საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ გათვალისწინებული ბავშვის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში;

ჟ)ბავშვის მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამების მომზადება, მათი განხორციელება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;

რ) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის სოციალური მუშაკის ქსელის შექმნა და სამოქმედო უბნების განსაზღვრა;

ს) ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მიზნით კოორდინირებული მუშაობა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ტ) არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

უ)საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენა, შესაბამისი ოქმების შედგენა, სახდელის შეფარდება ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოსთვის გადაგზავნა.

ფ) ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამების განხორციელების მიზნით შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევის, მათი რეგისტრაციის და სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრის პროცესის უზრუნველყოფა;

ქ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება; ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და წარმოება;

ღ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

ყ) სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიური იდენტიფიცირება, მათი საჭიროებების განსაზღვრა და შეფასება, პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდება;

შ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ბენეფიციართა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურებებში ჩართვა და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინება;

ჩ) ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირება და მასზე შესაბამის რეაგირება; ც) ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მათში ჩართვის ხელშეწყობა;

ძ) მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციის გაწევა;

წ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის

ჩატარება;

ჭ) საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მუშაობის ჩატარება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა დადგენილება N21 (24.07.2026).

დღის წესრიგის მეათე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება განისაზღვრება ამ დებულებით და თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სამსახურის შემადგენლობაში შედის:

ა) სამსახურის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ბ) სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ) კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დ) სამსახურის საჯარო მოსამსახურეები.

სამსახურის ფუნქციებია:

ა) განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ბ) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების, მუნიციპალური მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების და კულტურის სხვა დაწესებულებების, მუნიციპალური სპორტული და ახალგაზრდული დაწესებულებების კოორდინაცია;

გ) ძეგლთა დაცვის განვითარების მუნიციპალური პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

დ) წინადადებების შემუშავება მის სფეროს მიკუთვნებული დაწესებულებების შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;

ე) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა დადგენილება N22 (16.07.2026).

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ინსპექტირების სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება განისაზღვრება ამ დებულებით და თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სამსახურის შემადგენლობაში შედის:
ა) სამსახურის უფროსი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
ბ) სივრცითი მოწყობისა არქიტექტურის განყოფილების უფროსი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
გ) ინფრასტრუქტურისა და ინსპექტირების განყოფილების უფროსი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
დ) სამსახურის საჯარო მოსამსახურეები.
სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:
ა) მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების დაგეგმვას;
ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის დაგეგმვას, უფლებრივ ზონირებას;
გ) დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების შემუშავებას;
დ) დასახლებათა განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავებას;
ე) დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შემუშავებას;
ვ) გეგმარებითი დავალებების მომზადებას;
ზ)მუნიციპალიტეტის დაკვეთით განხორციელებული ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის კოორდინაციას;
თ)მშენებლობის ნებართვების გასაცემად საჭირო პირობების, საპროექტო და სხვა დოკუმენტაციების კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნების შემუშავებას;
ი) მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის შექმნასა და განვითარებას;
კ) მშენებლობის ნებართვების თაობაზე მერის ბრძანებების შემუშავებას;
ლ)მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობას;
მ) არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევათა პრევენციას და აღკვეთას;

ნ) მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების შემუშავებაში მონაწილეობის მიღებას, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი გეგმების, პროგრამებისა და პროექტების მომზადებას;

ო) ინფრასტრუქტურის განვითარების დასაგეგმად საჭირო ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას, პროექტების მომზადებას და მათი განხორციელების კოორდინაციას;

პ) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის – ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების, გარე განათების, სანიაღვრე სისტემის, მუნიციპალიტეტის გამგებლობაში არსებული კომუნიკაციების შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების დაგეგმვას, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, მათი განხორციელების კოორდინაციას;

ჟ) მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების შენახვისა და მოვლა -პატრონობის კოორდინაციას;

რ) მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საპროექტო დავალებების მომზადებას, სახარჯთაღრიცხვო დოკუმეტაციის შესყიდვისა და მირების პროცესის კოორდინირებას;

ს) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალიტეტის დასახლებათა დასუფთავების, ნარჩენების გატანისა და უტილიზაციის საკითხებზე;

ტ) მუნიციპალიტეტის დაკვეთით განსახორციელებელი/განხორციელებული ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის კოორდინაციას;

უ) მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულ და შესასყიდ სამუშაოებზე დასკვნების მომზადებას;

ფ) სტიქიური მოვლენების და სხვა საგანგებო სიტუაციების დროს შესაბამის ღონისძიებებში მონაწილეობას;

ქ) მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის საპროექტო დავალების მომზადებას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებას და მიღების პროცესის კოორდინაციას, წარმოდგენილი საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განხილვას, შემოწმებას, სამუშაოთა მოცულობების სისწორის, მისი ტექნიკური დავალებისა და მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას და პროექტის სრულყოფის პროცესში მონაწილეობას;

ღ) სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს, სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტაციის მომზადებას და მათ წარდგენას მერისთვის; ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების ფარგლებში, მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტების (საზედამხედველო კომპანიის/ ტექზედამხედველების მიერ დადასტურებული ფორმა N2) შემოწმება;

ყ) ინფრასტრუქტურის სფეროსთან დაკავშირებული განცხადებებისა და მიმართვების განხილვას, ადგილზე არსებული მდგომარეობისა და საჭიროებების შესწავლას, სარეაბილიტაციო ობიექტების გამოვლენას, მათი პრიორიტეტულობის შეფასებას, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას და მერისთვის წარდგენას. აგრეთვე, მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ შემოსული განცხადებებისა და მიმართვების საფუძველზე გამოვლენილი მიმდინარე ინფრასტრუქტურულ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციას;

შ) სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანის ამსახველი დოკუმენტაციის მომზადებას, დეფექტური აქტების შედგენას და წინადადებების მიწოდებას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისთვის;

ჩ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა დადგენილება N23 (24.07.2026).

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება განისაზღვრება ამ დებულებით.

სამსახურის შემადგენლობაში შედის:
ა) სამსახურის უფროსი-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
ბ) საბიუჯეტო, სახაზინო და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის განყოფილების უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
გ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი - მეორადი

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დ) სამსახურის საჯარო მოსამსახურეები.

სამსახურის ამოცანები სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული საბიუჯეტო პროცესის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების, აღსრულების მიმდინარეობის და შესრულების ანგარიშის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება;

ბ) საგადასახადო და არასაგადასახადო (მათ შორის, მოსაკრებლების) შემოსავლების და სხვა შემოსავლების შესრულების ანალიზი და შესაბამისი ინფორმაციებისა და წინადადებების მომზადება;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გადასახდელების, აგრეთვე საბიუჯეტო მოწყობასთან დაკავშირებულ მონაცემთა ბაზის ფორმირება და მონაცემთა ანალიზი;

დ) დადგენილი წესის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებაზე წინადადებებისა და გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ე) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შეუსრულებლობის ან გადაჭარბების შემთხვევაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე წინადადების წარდგენა ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების შესატანად;

ვ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაწესებულებებში საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობის გაუმჯობესების და საბიუჯეტო სახსრების მოქმედი კანონმდებლობის დაცვით გამოყენებისათვის მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა.

სამსახურის ფუნქციებია:

სამსახური, მისი საქმიანობის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე, ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) ადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს, რისთვისაც:

ა.ა) შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტის მოსამზადებლად საჭირო საორგანიზაციო სამუშაოების გეგმას და უზრუნველყოფს მისი შესრულების ორგანიზაციას;

ა.ბ) კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებს საბიუჯეტო განაცხადის (მაჩვენებელთა გაანგარიშების) ფორმებს, დადგენილ ვადებში ამზადებს საბიუჯეტო ცირკულარს მხარჯავ დაწესებულებებზე დასაყვანად, საბიუჯეტო პროექტების მოსამზადებლად;

ა.გ) უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მხარჯავი დაწესებულებებიდან საბიუჯეტო განაცხადის ფორმებისა და კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ინფორმაციის (მონაცემების) მიღება-დამუშავებას, განხილვას. საჭიროების შემთხვევაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში შეტანამდე ამზადებს წინადადებებს მათ დასაზუსტებლად;

ა.დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის და სხვა სამსახურებთან კოორდინაციით ახორციელებს შემოსულობების პროგნოზირებას;

ა.ე) მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც მოიცავს: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების საერთო თანხას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერისა და სხვა შემოსულობების, გადასახადების წყაროების გამოყოფით და გადასახდელების საერთო თანხას საბიუჯეტო ასიგნებების მხარჯავ დაწესებულებებზე და საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, დასაფინანსებელ პროგრამებსა და ღონისძიებებზე, ბიუჯეტებზე განაწილებით, ქვეყანაში მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაციების შესაბამისად;

ა.ვ) სამსახური, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს, განმარტებით ბარათთან ერთად, დადგენილ ვადაში წარუდგენს მერს, შემდგომში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის წარსადგენად;

ა.ზ) დადგენილი წესის შესაბამისად ამზადებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად, მასალებს მხარჯავი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების შესახებ, დამტკიცებულ განხერაში ცვლილების შესატანად;

ა.თ) განსაზღვრავს ბიუჯეტის შესრულების პროცესში მიღებული დამატებითი შემოსავლების თანხას და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს ამ თანხის, აგრეთვე გასული წლის საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთის მიმდინარე წელს გამოყენების თაობაზე;

ბ) ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის აღსრულებას, რისთვისაც:

ბ.ა) ადგენს დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერას კვარტლების მიხედვით;

ბ.ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინიდან უზრუნველყოფს საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების შესახებ ელექტრონული და სხვა სახის ინფორმაციის მიღებას და დამუშავებას, ტვირთავს საბოლოო ინფორმაციას პროგრამულ ბაზებში. აწესებს მონიტორინგს შემოსულობების ფაქტიური შესრულების მიმდინარეობაზე;

ბ.გ) დადგენილი წესის თანახმად ადგენს მერიის სისტემის საბიუჯეტო ვალდებულებებს

და დამოწმებებს;
ბ.დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულების მიზნით იღებს მხარჯავი დაწესებულებების საბიუჯეტო ვალდებულებებს და დამოწმებებს;
ბ.ე) დადგენილი წესის მიხედვით ახდენს მხარჯავი დაწესებულებების ვალდებულებების რეგისტრაციას და რეგისტრირებული საბიუჯეტო ვალდებულებების დამოწმების შესაბამისად ახორციელებს თანხის გადახდას;
გ) სამსახური ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ყოველკვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშის მომზადებას, რისთვისაც:
გ.ა) უზრუნველყოფს ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაციის მიღებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისაგან, აღრიცხავს პერიოდულ და აანალიზებს ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მდგომარეობას;

გ.ბ) იღებს ინფორმაციებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურებიდან და საბიუჯეტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებიდან საბიუჯეტო ხარჯების გამოყენების შესახებ;

გ.გ) ადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს და წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს თავმჯდომარისთვის წარსადგენად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს კონტროლის პალატას;

დ) მუნიციპალიტეტის სამსახურების საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს უწევს მეთოდოლოგიურ დახმარებას საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების გაუმჯობესებისა და მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების ხარჯვის დროს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების სწორად განხორციელების საკითხებზე;

ე) ქმნის ერთიან კომპიუტერულ საინფორმაციო ბაზას, ახორციელებს საქმიანობის პროგრამულ უზრუნველყოფას, მომსახურებას;

ვ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების (უძრავი და მოძრავი ქონება) აღრიცხვას და ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახვას;

ზ) მატერიალური აქტივების დაცულობაზე კონტროლს, მატერიალური ფასეულობების ფაქტიური ნაშთების დადგენას, გამოუყენებელი აქტივების გამოვლენას და კანონის შესაბამისად აღრიცხვას, მატერიალურ ფასეულობებზე (ძირითად საშუალებებზე), რომლებიც ამორტიზაციას ექვემდებარება, ამორტიზაციის ნორმების მიხედვით ცვეთის დარიცხვას.

თ) მოქმედი კანონმდებლობისა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციებისა და დავალებების შესრულებას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომსრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა დადგენილება N24 (24.07.2026).

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება განისაზღვრება ამ დებულებით და თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სამსახურის შემადგენლობაში შედის:

ა) სამსახურის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ბ) ქონების მართვის განყოფილების უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ) ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დ) სამსახურის საჯარო მოსამსახურეები.

სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საწარმოთა წილების, აქციების, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა, ინვენტარიზაცია, მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნა და განახლება;

ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაცია;

გ) წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება მუნიციპალიტეტის ქონებისათვის კატეგორიის შეცვლის თაობაზე;

დ) წინადადებების მომზადება მუნიციპალური ქონებით სარგებლობისა და განკარგვის საკითხებზე;

ე) წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადება მუნიციპალური ქონების შექმნის, შეძენის, პრივატიზების ან სარგებლობაში გადაცემის საკითხებზე;

ვ) ზედამხედველობა მუნიციპალური ქონების დაცვაზე, მოვლა-პატრონობაზე, მართლზომიერ სარგებლობასა და განკარგვაზე;

ზ) საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების განხორციელების თაობაზე მუციციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებულობის ხელშეწყობა;

თ) მუნიციპალიტეტის მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებში პარტნიორის, აქციონერის უფლებამოვალეობათა განხორციელება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით;

ი) სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა;

კ) საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულება;

ლ) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება, სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება, ადგილობრივი საინვესტიციო გარემოს კვლევა და სათანადო წინადადებების მომზადება;

მ) ეკონომიკური განვითარების დასაგეგმად საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება;

ნ) წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადება მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საწარმოების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებზე;

ო) წინადადებების მომზადება მუნიციპალური პროექტების განხორციელების მიზნით კერძო ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით;

პ) საჭირო დოკუმენტაციის მომზადება მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საინვესტიციო პროექტების შესადგენად;

ჟ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო ინვესტიციების ხელშეწყობისათვის წინადადებების მომზადება;

რ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საინვესტიციო პროექტების განხორციელების ზედამხედველობა;

ს) წინადადებების მომზადება ადგილობრივი გადასახდელებისა და მოსაკრებლების,

ადგილობრივი საბიუჯეტო და საკრედიტო პოლიტიკის საკითხებზე;

ტ) რეკომენდაციების შემუშავება მოსახლეობისათვის ჯანსაღი ბუნებრივი გარემოს შექმნასთან დაკავშირებით;

უ) მუნიციპალიტეტში არსებული სავარგულების, კულტურების და სხვა მონაცემების შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნისათვის და მუდმივი განახლებისათვის ინფორმაციის კონსოლიდაცია შესაბამისი უწყებებიდან და პირებისაგან;

ფ) სასურსათო პროდუქტების გადამამუშავებელი და შესანახი ინფრასტრუქტურის, სასოფლო - სამეურნეო მანქანა-დანადგარების, მომსახურების ცენტრების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და დაინტერესებული უწყებებისათვის/პირებისათვის მიწოდება;

ქ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი და მიმდინარე აგრარული პროექტებისადმი ხელშეწყობა. მათ შორის, აგროსასურსათო სექტორის რენტაბელობის ზრდის მიზნით, ეკოლოგიური ბიოპროდუქციის წარმოების ხელშეწყობის მიზნით, სოფლის მეურნეობის დარგობრივი კოოპერატივების ჩამოყალიბების/განვითარების ხელშეწყობის მიზნით და აგროსაწარმოების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ადგილობრივი ინტერესების გამოსავლენად წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობა;

ღ) გარემოზე ზემოქმედების რისკფაქტორებზე ინფორმაციის შეგროვება და კომპეტენტურ სახელმწიფო სტრუქტურებზე მიწოდება;

ყ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა დადგენილება N25 (24.07.2026).
დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უფლებამოსილებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზება განისაზღვრება ამ დებულებით და თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
სამსახურის შემადგენლობაში შედის:
ა) სამსახურის უფროსი-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
ბ) სამსახურის საჯარო მოსამსახურეები.

სამსახურის ამოცანები სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის მომზადება; დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, შესყიდვების მომზადება და განხორციელება;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და მერიის გამგებლობაში არსებული სხვა სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის ხელშეწყობა.

სამსახური, მისი საქმიანობის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე, ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

თ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალური შესყიდვების

ორგანიზების პროცედურებისა და სანიმუშო დოკუმენტების ფორმების მომზადება;

ი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის მომზადება; დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, შესყიდვების მომზადება და განხორციელება;

კ) ტენდერების და კანონით დადგენილი შესყიდვის სხვა საშუალებების ორგანიზება;

ლ) შესყიდვების პროცესის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

მ) შესყიდვის ხელშეკრულების პროექტის მომზადება; კონტროლს მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ნ) ერთიანი სისტემატიზებული ფორმით ინფორმაციის შეგროვებას დაგეგმილი და წარმოებული მუნიციპალური შესყიდვების, მუნიციპალური შესყიდვის არსებული და შესაძლო ობიექტის პოტენციური მომწოდებლებისა და მუნიციპალურ შესყიდვებში მონაწილე ორგანიზაციების, მათ მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მოწოდებაზე გაკეთებული შემოთავაზებების, აგრეთვე მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ;

ო) შესყიდვების ჩატარების შესახებ პერიოდული და ყოველწლიური ანგარიშების შედგენა.

პ) მოქმედი კანონმდებლობისა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციებისა და დავალებების შესრულება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა დადგენილება N26 (24.07.2026).

დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური (ტექსტში შემდგომ - სამსახური) არის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდას. ფუნქციურად დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, ანგარიშვალდებულია მერის წინაშე და „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოქმედებს შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ საბჭოსთან (შემდგომში – ჰარმონიზაციის ცენტრი) კოორდინირებულად. სამსახური თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან. მოთხოვნის შემთხვევაში, აწვდის მას შესაბამის ინფორმაციას ან/და დოკუმენტაციას და მასთან ურთიერთობას წარმართავს შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აქვს ბლანკი სამსახურის სრული სახელწოდების აღნიშვნით. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სამსახურის შემადგენლობაში შედის:

ა) სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

ბ) შიდა აუდიტისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი - მეორადი სტრუქტურული

ერთეულის ხელმძღვანელი;

გ) სამსახურის საჯარო მოსამსახურეები.

სამსახურის ფუნქციებია:

ა) მერიის წინაშე არსებული რისკების დადგენა და შეფასება;

ბ) მერიის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

გ) შიდა აუდიტის წლიური და სტრატეგიული გეგმის შემუშავება და საანგარიშო წლის დაწყებამდე, მერისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

დ) შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელება;

ე) სამსახურის მიერ შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი;

ვ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

ზ) მერიის სისტემაში ასიგნებების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის, მატერიალური ფასეულობების და სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის მონიტორინგი, შეფასება, შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების რისკების განსაზღვრა;

თ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმება, საქართველოს კანონმდებლობასთან და მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენა;

ი) მუნიციპალიტეტის აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

კ) მერიის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/ მონიტორინგი; კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის განხორციელება, მოსალოდნელი დარღვევების ან/და ხარვეზების ანალიზი და მათი პრევენცია; მერისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

ლ) შიდა აუდიტორული შემოწმების პროცესში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მქონე დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში მასალების შესაბამის ორგანოში გადაგზავნაზე მერისთვის რეკომენდაციის მიცემა.

მ) მერიის თანამშრომელთა მერიაში შემოსვლისა და მერიიდან გასვლის დროების ელექტრონულ აღირიცხვიანობაზე მონიტორინგის განხორციელება.

ნ) მერიის საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და მხარდაჭერა;

ო) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან თანამშრომლობა;

პ) „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;

სამსახური უფლებამოსილია:

ა) მერიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩაატაროს სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება

გაირკვეს, თუ რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება დაფინანსების გამოყენება, რამდენად სრულყოფილად არის დანერგილი მართვის და კონტროლის მექანიზმები და სხვა;

ბ) მიმდინარე შიდა აუდიტის, სამსახურებრივი შემოწმების ან საკითხის შესწავლა-ანალიზის პროცესში მერიის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებიდან შეუზღუდავად მოითხოვოს საჭირო დოკუმენტური თუ სხვა სახის ინფორმაცია, ამასთან, გამოკითხვაზე გამოიძახოს ნებისმიერი თანამშრომელი შესაბამისი ინფორმაციის ან ახსნა-განმარტების მიღების მიზნით;

გ) განახორციელოს შიდა აუდიტთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

სამსახური ვალდებულია:

ა) დაიცვას წინამდებარე დებულება, შიდა აუდიტის გლობალური სტანდარტები, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, შიდა აუდიტის მეთოდოლოგია და შიდა აუდიტის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები;

ბ) შიდა აუდიტორული შემოწმების დაწყებამდე შიდა აუდიტის ობიექტს წარუდგინოს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი შემოწმების ხასიათიდან და კონკრეტული საქმის მასალების თავისებურებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შემოწმების ჩატარება შემოწმების ობიექტის წინასწარ ინფორმირების გარეშე;

გ) შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი, შუალედური სახით, გაუგზავნოს შიდა აუდიტის ობიექტს იმ მიზნით, რომ მან წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება და არგუმენტირებული პასუხი ანგარიშში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც აისახება საბოლოო ანგარიშში(შემდგომში ანგარიში);

დ) შიდა აუდიტორული ანგარიშ(ებ)ი და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ანგარიშ(ებ)ი გაუგზავნოს მერს და შიდა აუდიტის ობიექტ(ებ)ს ;

ე) შიდა აუდიტის წლიური ანგარიში წარუდგინოს მერს, საკრებულოს და ჰარმონიზაციის ცენტრს მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე;

ვ) შიდა აუდიტორული შემოწმების პროცესში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მქონე დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში მისცეს მერს რეკომენდაცია მასალების შესაბამის ორგანოსთვის გადაგზავნასთან დაკავშირებით;

ზ) უზრუნველყოს შიდა აუდიტის ობიექტის სახელმწიფო, სამსახურებრივი, კომერციული და პირადი საიდუმლოების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ან მასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გამომდინარეობს შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნიდან ან/და გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა დადგენილება N27 (24.07.2026).

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის" მიერ ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, იურიდიული პირის საქმიანობისათვის აუცილებელია „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცება, აქედან გამომდინარე, მერიის მიერ ასევე ინიცირებულია „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. დადგენილებით მტკიცდება მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი - საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის ნიმუშიც ენის სისწორის თვალსაზრისით, შესათანხმებლად გადაგზავნილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში. შეთანხმების დოკუმენტი წარმოგიდგენილია ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

ვინაიდან, მერიის სტრუქტურაში აღარ იქნება ზედამხედველობის სამსახური, პროექტი ითვალისწინებს ზედამხედველობის სამსახურთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

იურიდიული პირის საქმიანობისათვის ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში. საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში იურიდიული პირის ფუნქციონირების დაწყება დაგეგმილია 2026 წლის 14 აგვისტოდან.

ეს წესი „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების საფუძველზე განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ (შემდგომში – „ინსპექციაში“) თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას მკაცრი აღრიცხვის ფორმის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების სამართლებრივ მექანიზმებს.

ინსპექციაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენება და აღრიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის საფუძველზე.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი 2(ჯუმბერ ბლაგიძე და თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა დადგენილება N28 (24.07.2026).

დღის წესრიგის მეჩვიდმეტე საკითხი:„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2026 წლის 16 ივლისის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ 2025 წლის 30 დეკემბერს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა

და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულება“, რაც დამტკიცდა „ საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებ ის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით.

2026 წლის 16 ივლისის N1 შეთანხმების აქტით ცვლილება შევიდა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირებისშესახებ ხელშეკრულებაში, კერძოდ: ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტის:

ა) „ა “ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რეაბილიტაციასთან დაკავშირებული თანმდევი მომსახურებების ჩათვლით (პროექტირება, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა).“

ბ) „ზ “ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ ზ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირების, ელექტროენერგიისმიწოდებისა და წყალმომარაგების მიზნით, ახალ აბონენტად რეგისტრაციასთან, ხოლო აბონენტებად უკვე რეგისტრირებული აღნიშნული დაწესებულებების შემთხვევაში, მითითებულ კომუნალურ მომსახურებებზე, სიმძლავრეების გაზრდის მიზნით დაკავშირებულები საჭიროებების უზრუნველყოფა, ასევე საწვავის, ბრიკეტისა და შეშის შესყიდვა.“

გ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი: „თ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სარგებლობაში არსებული ტერიტორიის/ეზოს კეთილმოწყობა, მათ შორის: ეზოების რეაბილიტაცია, ღობის მოწყობა, დამხმარე შენობა-ნაგებობების განთავსება და სხვა შესაბამისი სამუშაოები, თანმდევი მომსახურებების ჩათვლით (პროექტირება, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა).“

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებულ, დელეგირების შესახებ ხელშეკრულებას ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ანალოგიური წესი ვრცელდება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევებზეც.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი 1(ჯუმბერ ბლაგიძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N42 (24.07.2026).

დღის წესრიგის მეთვრამეტე საკითხი:. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილების განსაზღვრის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის, 2026 წლის 8 ივლისის N MIA 4 26 02408340 და N MIA 2 26 02408203 წერილების საფუძველზე, 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტებად განისაზღვროს:

ა) სოფ. გრიგოლეთსა და სოფ. წყალწმინდის ზღვის აკვატორიაში სანაპიროს გასწვრივ 25 მეტრისა და სანაპიროდან 100 მეტრის სიღრმეში, მოქალაქე გოგი ტიკარაძე (პ/ნ 26001004500) მომართვის საფუძველზე (წერილის რეგისტრაციის N19/30261747-30) თანდართულ სიტუაციურ გეგმაში ასახული კოორდინატების შესაბამისად (დანართი N1-დანართი N2).

ბ) სოფ. გრიგოლეთის ზღვის აკვატორიაში სანაპიროს გასწვრივ 25 მეტრისა და სანაპიროდან 100 მეტრის სიღრმეში, მოქალაქე გიორგი ტიკარაძე (პ/ნ 26101039767) მომართვის საფუძველზე (წერილის რეგისტრაციის N19/30261749-30) თანდართულ სიტუაციურ გეგმაში ასახული კოორდინატების შესაბამისად (დანართი N1).

არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტთნ შეთანხმებით, შესაძლებელია შეიცვალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტები.

მიღებული განკარგულების შესახებ უნდა ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი 1(თორნიკე მითაიშვილი).
მიღებულ იქნა განკარგულება N43 (24.07.2026).
სხდომის დასასრულს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** გააკეთა შემდეგი სახის განცხადება:
მოქალაქე სვეტლანა სარიშვილის ოჯახმა 2023 წლის სტიქიის შემდეგ კომპენსაციის სახით მიიღო 50 000 ლარი და შეიძინა საცხოვრებელი სახლი გვიმბალაურში, არ არსებობს სოციალური პროგრამა: ერთჯერადი, სარეზერვო, ნებისმიერი, რომლითაც მას არ უსარგებლია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის ყოველთვის უკმაყოფილოა აღმასრულებელი ხელისუფლებით.

სხვადასხვა საკითხები არ განხილულა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24 ივლისი 2026 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 14	
2	ვერიკო კვირკველია	11.54	
3	მაია ლომთაძე	11:50	
4	გიორგი ჩახვაძე	11 50	
5	გიორგი ხელაძე		
6	ალექსანდრე მახათაძე	11 55	
7	ზაზა წულაძე	11 55	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 55	
10	ია მოქია	12:50	
11	დარეჯან ბურჭულაძე	11 55	
12	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 50	
14	კარლო წილოსანი	11 58	
15	ნინო მშვიდობაძე	11 56	
16	ივანე ებრალიძე	11 50	
17	ირაკლი ცინცაძე	11 55	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-57	
19	თენგიზ ხუხუნაიშვილი	11:36	
20	გოგი მორჩილაძე		
21	ელისო ჭიჭინაძე	11 50	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 43	
23	ირაკლი ტოროტაძე	12.00	

24	ტატო ურუშაძე	11:55	
25	გელა პატეიშვილი		
26	თენგიზ ურუშაძე	11.50	
27	ვარლამ ჩხარტიშვილი	11:55	
28	ბესიკი კვაჭანტირაძე	11:48	
29	სამსონ კვაჭაძე	11:45	
30	გოჩა ჯანაშია	11:55	
31	თორნიკე მითაიშვილი	11:55	
32	ჯუმბერ ბლაგიძე	11:40	